მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება 2
გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია 6
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია 10
განათლების ფსიქოლოგია 14
განათლების მეცნიერებები 19
იურიდიული ფსიქოლოგია 24
მასწავლებელთა განათლება 30
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) 34
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია 39
პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება 46

პროგრამის სახელწოდება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება **Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling.**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპ ირობა	**პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** ➢ პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ფსიქოლოგიაში აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. ➢ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა განვითარების ფსიქოლოგიაში; ➢ მოტივაციის წერილი; გასაუბრება ინგლისური ან გერმანული ენებიდან ერთ-ერთზე (სპეციალურად მომზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდენა გასაუბრების პროცესში). აჭიროა ენის ფლობა B2 დონეზე. ამასთან, ყველა სხვა თანაბარი პირობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ მაძიებლებს, რომლებიც, ინგლისურ ენასთან ერთად, გერმანულ ენასაც ფლობენ.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი -
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: **ლუიზა არუთინოვი,** ფსიქოლოგიიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **თეონა ლოდია,** ფსიქოლოგიიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ტელ.: 595114753, 599 17 55 15

ელფოსტა: teona.lodia@tsu.ge, luiza.arutinova@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	90
არჩევითი დარგობრივი	30
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დარგში

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია პროფესიონალი ფსიქოლოგის მომზადება ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფსიქოლოგიური შეფასებისა და დახმარების, მათი მშობლებისა და პედაგოგების კონსულტირების მიმართულებით არსებული საჭიროებების კვალიფიცირებული კადრებით დაკმაყოფილებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად დასახული ამოცანები შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში გაწერილ მოთხოვნებთან. კერძოდ, პროგრამა ემსახურება ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა:

1. ბავშვებისა და მოზარდების შეფასებასა და კონსულტირებისათვის საჭირო თეორიული ცოდნის შეძენა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება;
2. მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის შეფასება, პიროვნული და ქცევითი დარღვევების იდენტიფიცირება და დროული ღონისძიებების უზრუნველყოფა;
3. სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებთან მუშაობის ტექნიკის დაუფლება, თანამედროვე ფსიქოლოგიურ სივრცეში აღიარებული უცხოური ინსტრუმენტების ქართული ვერსიების შექმნისა და მათი სტანდარტიზაციისათვის ხელშეწყობა.
4. მოზარდთა დელიკვენტური ქცევის ფსიქოსოციალური დამცავი და რისკფაქტორების ცოდნა, შესაბამის საკვლევ ინსტრუმენტებთან მუშაობის ათვისება, საგამოძიებო/ საპროცესო მოქმედებებისათვის ბავშვის/ მოზარდის ფსიქოლოგიური შეფასება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სწავლის მეთოდები

სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე; სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები:

- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა
- შემთხვევის ანალიზი
- გონებრივი იერიში
- დემონსტრირების
- ახსნა-განმარტებითი
- პრაქტიკული მუშაობა
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა.

შეფასება

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი:

- კრიტიკულად მსჯელობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფიზიკურ, კოგნიტურ და ფსიქოსოციალური განვითარების კანონზომიერებზე;
- აანალიზებს ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, პიროვნული თუ ქცევითი დარღვევის ნიშნებს. კრიტიკულად განიხილავს

ფსიქიკური აშლილობების სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და სათანადო სპეციალისტის ჩარევის საჭიროების განსაზღვრას;

- სიღრმისეულად აანალიზებს ფსიქოდიაგნოსტიკისა და ფსიქოკონსულტაციის სფეროში პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს. აფასებს სხვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს და ფლობს მიღებული შედეგების საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის შემუშავების პრინციპებს.
- კრიტიკულად აანალიზებს ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა დამუშავება–ინტერპრეტირების ტექნიკებს.

უნარები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის ადეკვატური შეფასება; არსებული შეფერხებების დროულად გამოვლენა, სათანადო ფსიქოლოგიური გამოკვლევის და დახმარების სტრატეგიის დაგეგმვა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მშობელთა და მასწავლებელთა კონსულტირება;
- გამოვლენილი სირთულეების შესაძლო მიზეზთა გამოკვეთა და შემდგომი განვითარების პროგნოზი;
- საკონსულტაციო საქმიანობის პროცესში ეკლექტური მიდგომის გამოყენება, რაც კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით სხვადასხვა თერაპიული ტექნიკების ელემენტების გამოყენებას გულისხმობს;
- კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; კვლევის სხვადასხვა მეთოდის – რაოდენობრივი, თვისებრივი, case-study – გამოყენება; გარკვეული ფსიქიკური მოვლენის შინაარსის შესწავლის საფუძველზე შესაბამისი ცვლადების გამოყოფა და მათი საკვლევი მეთოდების შერჩევა, მონაცემთა ანალიზის შესაბამისი სტატისტიკური პროგრამისა და ოპერაციების ადეკვატურად გამოყენება.

ავტონომია და პასუხისმგებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სწავლის პროცესის წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება. პროფესიული საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა;
2. საკუთარი პროფესიული განვითარების რეფლექსია, დაგეგმვა და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.

დასაქმების სფეროები

ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა–განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო თუ კერძო კლინიკა, სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, აგრეთვე, პენიტენციალური თუ სხვა ინსტიტუცია; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო სამსახურები, საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები და ა.შ.

მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრები საჭიროების შემთხვევაში და გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ შეძლებენ იმუშაონ არა მხოლოდ ბავშვებისა და მოზარდების, არამედ მოზრდილთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და პროფესიული შერჩევის სფეროში. ისინი შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო თუ საექსპერტო სამუშაო ბავშვთა და მოზარდთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში; აგრეთვე, გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში. დაიკავონ აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში.

პროგრამის სახელწოდება	**გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია** Psychology of Influence and Communication
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ პროგრამაზე დაიშვება სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის და ინფორმაციის, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების და სამართალის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. ➢ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში ➢ მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე ➢ გასაუბრება ინგლისურ ენაზე (სპეციალურად მოზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდენა გასაუბრების პროცესში) ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; ➢ პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგსიტრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master in Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ერთეული	ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
	-
საკონტაქტო პირი	**ეკატერინე ფირცხალავა** ფსიქოლოგიიის დოქტორი,თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **მედეა დესპოტაშვილი** ფსიქოლოგიიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ელენე კვანჭილაშვილი** ფსიქოლოგიიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	85
არჩევითი დარგობრივი	35
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დარგში, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით და გაცნობიერებული ექნება საკუთარი პროფესიული როლი.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების სიღრმისეული თეორიული ცოდნა კერძოდ - პროგრამის ოთხი მოდულის: გავლენების ფსიქოლოგიის, კომუნიკაციის ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და კროსკულტურული ფსიქოლოგიის მიმართულებით:

პროგრამის მოთხოვნები შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში გაწერილ მოთხოვნებთან.

5. გავლენების, პოლიტიკური. კროსკულტურული, კომუნიკაციური ფსიქოლოგიის დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა;
6. გავლენების, პოლიტიკური. კროსკულტურული, კომუნიკაციური ფსიქოლოგიის სპეციალისტისთვის შესაბამისი პრაქტიკულ უნარ-ჩვევები;
7. გავლენების, პოლიტიკური. კროსკულტურული, კომუნიკაციური ფსიქოლოგიის სიღმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
8. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების სისტემური ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

სწავლის მეთოდები

სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპზე და სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი ინტერაქტიური მეთოდები:

- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა
- შემთხვევის ანალიზი
- გონებრივი იერიში
- დემონსტრირების
- ახსნა-განმარტებითი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (PBL)
- პრაქტიკული მუშაობა
- ესე

შეფასება

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიანკარგი – მაქსიმალურიშეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალურიშეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალურიშეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალურიშეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორისახისუარყოფითშეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი

3. ფლობს სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებების თეორიული მიდგომებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, გავლენების, პოლტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში სფეროებში პრობლემების შესწავლის მიზნით დამოუკიდებლად გეგმავს კვლევას და ახორციელებს,;
4. გავლენების, პოლტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში კლასიკური და თანამედროვე ემპირიული აღმოჩენები შეფასების საფუძველზე აყალიბებს თანმიმდევრული და რელევანტურ რეკომენდაციებს, ეფექტური გადაწყვეტილებების განსაზღვრის მიზნით.
5. შესაბამისად იყენებს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები

უნარები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება, კერძოდ:

6. მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური შეფასების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს ჰოლისტური, დასაბუთებული დასკვნები გავლენების, პოლტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში
7. გავლენების, პოლტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკუთარი პროფესიული აზრისა და დასკვნების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება და გაზიარება როგორც წერილობით, ასევე ვერბალურად/აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
8. სამეცნიერო კომუნიკაციის გამოყენებისა და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე სფეროში არსებული საკითხების/პრობლემატიკის, მიგნებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით; მეცნიერული კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისა და შესაბამისი დროისა და რესურსების ეფექტურად მართვის უნარი.

ავტონომია და პასუხისმგებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია :

9. პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმა და გადაწყვეტა;
10. სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება;
11. პროფესიულ საქმიანობის პროცესში რეფლექსია;
12. პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვა;

დასაქმების სფეროები

მკვლევრის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში - ყველგან სადაც ხდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნო-კულტურული ინფორმაციის შეგროვება, პროცესების ანალიზი სადაც მნიშვნელოვანია პიროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება.

პროგრამის სახელწოდება	
	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია **Applied Social Psychology**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: • პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი შემდეგ სფეროებში: ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი, ჰუმანიტარული მეცნიერებები; • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში; • გასაუბრება ინგლისურ ენაში. • მობილობის ფარგლებში პროგრამაზე გადმოსვლა შეუძლიათ თსუ-ა ან სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოს კანონმდებლობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მობილობის ადგილების შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA of Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი; ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:** ანასტასია ქიტიაშვილი- ფსიქოლოგიიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	80
არჩევითი დარგობრივი	40
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

"გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, გაეცნონ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.

"გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები რომლებსაც ექნებათ:

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემების ანალიზი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან და ამ პრობლემების დასაძლევად სოციალური ინტერვენციების შემუშავება, დანერგვა და შეფასება. სოციალურ პრობლემებს შორისაა მაგ: სიღარიბე, ძალადობა, სუიციდი, ნარკომანია, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, გენდერული უთანასწორობა, დისკრიმინაცია, გარემოს დაბინძურება და სხვა. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებსა და მიდგომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური ქცევისა და პრობლემების გაგებასა და რეგულაციაში. პრაქტიკული მნიშვნელობის გამო გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა.

"გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს:

1. სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი პრინციპების, კონტექსტუალური საკითხების სიღრმისეული ცოდნა:
2. განუვითაროს სამეცნიერო, გამოყენებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი, თანამედროვე მოთხოვნებისა და ეთიკის ნორმების დაცვით
3. ჩამოუყალიბოს სოციალური პრობლემების ანალიზის უნარი სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის უნარი მიკრო, მაკრო და მეზო დონეებზე

განუვითაროს სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვის, დანერგვის ინიცირებისა და ინტერვენციის შეფასების უნარი კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროების შესაბამისად.

სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია:

- დისკუსია/დებატები
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- პროექტული სწავლება
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქცია- დედუქცია
- ანალიზი და სინთეზი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა.

შეფასება

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით

შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა (დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%).

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომს წარადგენს წინასწარ დაცვაზე; დადებითი შეფასების შემთხვევაში კი დაცვაზე. სამაგისტრო ნამუშევარს აფასებს სპეციალურად შედგენილი კომისია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი:

1. კრიტიკულად აფასებს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს, პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.
2. კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ცოდნის ინტერპრეტაციას; აცნობიერებს ამ ცოდნის განზოგადების პრინციპებს ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე სფეროებში.

უნარი

სტუდენტს შეუძლია:

3. სოციალური პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან კვლევა, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა სხვა და სხვა დონეზე ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური, განათლების და სხვა.
4. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიება და ახალი ინტერვენციების დანერგვის ინიცირება კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით.
5. განხორციელებული სოციალური ინტერვენციების შედეგებისა და მათ გავლენის შეფასება სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ჯგუფთან ერთად ან დამოუკიდებლად.

ღირებულებები

სტუდენტს შეუძლია:

6. პროფესიულ საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა.
7. საკუთარი პროფესიულ განვითარების რეფლექსია, დაგეგმვა და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.

დასაქმების სფეროები:

მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები შეძლებენ მუშაობას შემდეგ პოზიციებზე:

- მკვლევარის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში ისეთ სფეროებში როგორიცაა, სოციალური, განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, ორგანიზაციული, გარემოსდაცვითი და ა.შ
- მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

პროგრამის სახელწოდება	**განათლების ფსიქოლოგია** Educational Psychology
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც ავტორიზებულ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ასევე სოციალურ მეცნიერებებში. სამუშაო გამოცდილების ქონა აუცილებელი არ არის. პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება. ჩარიცხვა ხდება სპეციალობის და ინგლისური ენის (B2) გამოცდის შედეგების მიხედვით. მაგისტრატურაში ჩამბარებელმა უნდა წარმოადგინოს ცნობები სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით ექსპედიციებში, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების, განხორციელებული ემპირიული კვლევების შესახებ და სხვა (არსებობის შემთხვევაში). მსგავსი ინფორმაცია საგამოცდო შეფასებაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა, გამოიყენება როგორც დამატებითი შეფასება იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტები მიიღებენ თანაბარ ქულებს.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Educational Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: **მზია წერეთელი** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. **ია აფთარაშვილი** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული

	პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	75
არჩევითი დარგობრივი	45
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტი შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებათა სისტემით განათლების ფსიქოლოგიაში. კურსდამთავრებულს შესძინოს საფუძვლიანი ცოდნა, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორ უკავშირდება და რა ზეგალენას ახდენს ერთმანეთზე სწვლისა და სწავლების პროცესები და მათთან დაკავშირებული ფაქტორები, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში;
- კურსდამთავრებული აღჭურვოს პრაქტიკული უნარებითა და ინსტრუმენტებით, რომლითაც შეძლებს ფასილიტაცია და მხარდაჭერა გაუწიოს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის პროცესებს ყველა დონეზე (ნანო - მაკრო);
- კურსდამთავრებულმა შეძლოს დაეხმაროს და მხარდაჭერა გაუწიოს სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული გაერთიანებები, საჯარო სექტორები და სხვა) თუ ადამიანურ კაპიტალს განვითარებასა და ზრდაში;
- მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა საგანმანათლებლო კვლევებისა და შეფასებების კონცეფციის შემუშავებისა და განვითარებისთვის.

სწავლის მეთოდები

- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- შემთხვევის შესწავლა (Case Study);
- გონებრივი იერიში (Brain Storming);
- შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- ინდივიდუალური მუშაობა;

- ჯგუფური მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- პრეზენტაცია;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ლაბორატორიული მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- პროექტი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- აუდიო-ვიზუალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშობა;
- ელექტრონული სწავლება (e-learning).

შეფასება

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.
გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50% +1 ქულა.
სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, მათ შორის დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 40 ქულა (დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%).

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი:

- სიღრმისეულად გაიაზრებს განათლების ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, მნიშვნელობას და ადგილს მეცნიერების სიტემაში, დარგის სფეროებს, ამოცანებს და კვლევის მეთოდებს;
- სიღრმისეულად აანალიზებს სწავლა-სწვალების ძირითად მიდგომებსა და მიმართულებებს, მათ შორის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფიას და სისტემებს, მათ როლს განათალების თანამედროვე პარადიგმაში;
- კრიტიკულად მსჯელობს პიროვნების კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპებზე, მათ როლსს და მნიშვნელობაზე სწავლა-სწვალების პროცესში;
- სიღმისეულად გაიაზრებს კვლევის და შეფასების არსს, სხვადასხვა დიზაინს, მეთოდოლოგიას და მათ მნიშვნელობას და აპლიკაციას განათლებაში.

უნარები

სტუდენტს შეუძლია:

- განათლების სფეროში არსებული სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემის იდენტიფიცირება, გაანალიზება და შესაბამისი გადაჭრის გზების მოძიება
- ემპირიული კვლევის პროფესიულ დონეზე შესრულება, სტატისტიკური აპარატის შერჩევა, მონაცემების გაანალიზება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, კვლევის შედეგების ინტერპტერირებას ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების პროფესიული მიზნებისათვის გამოყენება, მეცნიერული პროდუქტის პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან გაზიარება;
- სწავლებისა და განათლების პოლიტიკის შექმნაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებს გაუწიოს პროფესიულ კონსულტირება კვლევის, შეფასები, სწავლა-სწავლების და კოგნიტური და ფსიქოსოციალური განვითარების საკითხებზე

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

სტუდენტს შეუძლია:

- პროფესიული ეთიკის დაცვით დარგის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება და დამუშავება, პასუხიმგებლობის აღება მის მიერ განხორციელებულ კვლევით და სამეცნიერო აქტივობებზე;
- ინტერგრირება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ წრეებში

დასაქმების საფეროები

დღეს საქართველოში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც მოიცავს განათლების სისტემის ყველა რგოლს დაწყებული საბავშვო ბაღიდან დამთავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებით, რეფორმა პიროვნების განვითარებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას სწავლებისას, ახალი სასწავლო გეგმების, მართვის ახალი სტილის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვას და სხვა. ყოველივე ეს განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის სასწავლო პროცესში კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი განათლების ფსიქოლოგიის სპეციალისტის მონაწილეობას.

პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფო და არასამთვარობო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფსიქოლოგი, როგორიცაა მაგ., განათლების სისტემის ფსიქოლოგი, სკოლის ფსიქოლოგი, პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიი, ზდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებლი დაწესებულებების ფსიქოლოგი და სხვა.
- საგანმანათლებლო მეთოდოლოგიური, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე რესურსების შექმნასა და მათ ვალიდაციასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსა და პროცესებში, როგორიცაა მაგალითად გამომცემლობები, საავტორო უფლების მქონე საჯარო სექტორები და კერძო ორგანიზაციები და სხვა.
- სასწავლო პროგრამების, კურიკულუმების, შემუშავებას, განვითარებას, დანარგვასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ დაწესებულებებში, როგორიცაა მაგ., საჯარო სამსახურები (სამინისტროები, სსიპები, სასწავლო დაწესებულებები და ა.,შ.), არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.
- საგანმანათლებლო კვლევასა და სასწვალო პრაქტიკის შესწავლსათან დაკავშირებული ორგანიზაციები, როგორიცაა ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო გრანტებისა და სტიპენდიების მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და სხვა.
- სწავლა-სწავლებასა და მასთან დაკვშირებულ კონტექსტურ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება, როგორიცაა ოჯახების, სასკოლო საზოგადოების (მოსწვალე, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომაგდენელი, მშობელი), უმაღლესი და პროფესიული დაწესებულების წარმომადგენლების, სტუდენტების, განათლების საკითხებით დაინეტერსებული საჯარო თუ არასამთვარობო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტირება.

ასევე, კურსდამთვარებულს შეეძლება განაგრძოს აკადემიური კარიერა დოქტორანტურის საფეხურზე.

პროგრამის სახელწოდება	**განათლების მეცნიერებები** Education Sciences
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ნებისმიერი დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდა - A ტიპის ტესტი; წერითი გამოცდა პედაგოგიკაში; ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების მაგისტრი Master of Education
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ივანე მინდაძე - ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; პროგრამის კოორდინატორი: ელფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge; ტელ: 593 33 12 18, 2 22 23 76; ivane.mindadze@tsu.ge 595229004
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	

სავალდებულო დარგობრივი	105
არჩევითი დარგობრივი	15
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, განათლების სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დარგში, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარებისთვალსაზრისით. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს განათლების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ზოგადპედაგოგიკური და სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა და დაუფლებული იქნება განათლების მეცნიერებების დარგისათვის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კერძოდ, სტუდენტსაქვს პედაგოგიურ/ფსიქოლოგიურ დისციპლინების, განათლებაში კვლევის მეთოდების, განათლების სისტემის საკვანძოორიენტირების - განათლების პოლიტიკა, განათლების მართვა, განათლების შეფასება და ხარისხის განვითარება - სიღრმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგ საკითხებზე: პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები; კვლევის მეთოდები განათლებაში; განათლების სისტემის ძირითადი ორიენტირები - განათლების პოლიტიკა, განათლების მართვა, განათლების შეფასება და ხარისხის განვითარება; ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების პროცესები

უნარები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება, კერძოდ: ქვეყნის განათლების სისტემის მიმართების განსაზღვრა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და კონკრეტული ღონისძიებების დანერგვა საერთაშორისო სივრცესთან დაახლოების მიზნით; განათლების მეცნიერებების დარგში მიმდინარე უახლესი სამეცნიერო მიღწევების ღრმა ანალიზი და სასწავლოპროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარების მიზნით ინტერვენციის მეთოდოლოგიის შემუშავება და განხორციელება. განათლების სფეროში მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემის განათლების ხარისხის განსაზღვრა და შეფასება; სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზაციის ფორმების, პრინციპებისა დ მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით; ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების ორგანიზება;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია : პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმა და გადაწყვეტა; სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება; პროფესიულ საქმიანობის პროცესშირეფლექსია; პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვა.

სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების კომბინირებით, კერძოდ:

- ზეპირსიტყვერი მეთოდები – დიალოგი;
- მონოლოგი;

- წიგნზე მუშაობის მეთოდები;
- ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვა;
- პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეთოდები;
- წერითი მეთოდები – რეფერატი, პროექტი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- ევრისტიკული მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქცია, დედუქცია;
- ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა– განმარტებითი მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება (E-learning).

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და

აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
დასაქმების სფეროები
• განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; • განათლების რეგიონული და რაიონული მმართველობის ხელმძღვანელი, თანამშრომელი; • განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის განმახორციელებელი სექტორის ხელმძღვანელი, თანამშრომელი; • საუნივერსიტეტო პედაგოგიურ მეცნიერებათა მასწავლებელი; • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის კონსულტანტი; • განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	**იურიდიული ფსიქოლოგია** **Legal Psychology**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• საერთო სამაგისტრო გამოცდა; • გამოცდა ფსიქოლოგიაში; • გასაუბრება სპეციალობაში; • გასაუბრება უცხო ენაში – ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან შერჩეული ტექსტის წერილობითი თარგმანი (აპლიკანტს შეუძლია თან იქონიოს ბეჭდური ლექსიკონი) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (B2 დონე). პროგრამა განკუთვნილია: ა) ფსიქოლოგიის; ბ) სამართალმცოდნეობის; გ) სოციოლოგიის; დ) სოციალური მუშაობის; ე) განათლების სპეციალობაში ბაკალავრის ხარისხის ან მაინორის მქონე პირებისთვის.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ვახტანგ ნადარეიშვილი – ასოცირებული პროფესორი. ელფოსტა: vakhtang.nadareishvili@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა

სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	85
არჩევითი დარგობრივი	35
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

- სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების დაუფლების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებათა თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ–გამოყენებითი პოტენციალის გაერთიანება დაინტერდისციპლინური პროფილის სპეციალისტების მომზადება სამეცნიერო - კვლევითი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროსთვის.
- გამოუმუშავოს მაგისტრანტებს პიროვნებისა და მისი ნორმატიული თუ დევიაციური ქცევის აღწერის, ახსნის, პროგნოზირებისა და რესოციალიზაციის პროცესის წარმართვის უნარები.
- მოცემულ სფეროში იმ კონკრეტული სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების შეძენა (ასახულია სწავლის შედეგებში), რომლებიც საჭიროა ფსიქოლოგიისა და სამართლის მულტიდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტისას ორიგინალური მიდგომის შემუშავებისა და შესაბამისი კვლევის ჩატარებისთის, რისთვისაც გამოყენებული იქნება მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები.
- სასამართლო, საგამოძიებო, საადვოკატო და საექსპერტო საქმიანობაში მონაწილეობისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება;
- კანონშემოქმედებითი და სამართლის ეფექტურობის ამაღლებაზე მიმართული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ–ჩვევების მქონე კადრების აღზრდა;
- დანაშაულობის პრევენციასთან, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასთან, გამასწორებელი ღონისძიებების ოპტომიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის სპეციალისტების მომზადება პენიტენციარული სისტემისთვის;
- განათლებისა და აღზრდის სისტემაში მიმდინარე სოციალიზაციის პროცესის სრულყოფის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის კადრების მომზადება.
- პროგრამის მიზნებს ასევე წარმოადგენს: სტუდენტების მომზადება სწავლების შემდგომი საფეხურისთვის; ფსიქოლოგიისა და სამართლის სფეროს აქტუალური პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და მეთოდებზე მუშაობაში სტუდენტების ჩაბმა; სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტების ინტეგრაცია.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი სიღრმისეულად ფლობს ფსიქოლოგიისა და სამართალმცოდნეობის თეორიულ საფუძვლებსა (კონცეფციები, მეთოდოლოგია, ძირითადი ცნებების განმარტებები, სპეციალური ლექსიკა) და სპეციალიზებულ სისტემურ ცოდნას, რომელიც აუცილებელი ნორმატიული და დევიაციური ქცევის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტების ორიგინალური და კომპლექსური გააზრებისათვის; მაგისტრი აცნობიერებს სოციალური ნორმებისა და სამართლებრივი კატეგორიების ფსიქოლოგიურ ასპექტებს; აქვს მეცნიერების მოცემული სფეროს აქტუალური

ამოცანებისა და მათი ზოგადი სამეცნიერო და პრაქტიკული კონტექსტის გაცნობიერების, ინტერპრეტაციის, პრობლემებისა და პერსპექტივების ხედვის უნარი. სტუდენტი ფლობს იმ მეცნიერულ ხედვას და მიდგომებს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის პოტენციალის სრულ გამოყენებას და კონკრეტული პრობლემების გაღრმავებული ანალიზისა და ორიგინალური იდეების შემუშავების საფუძველზე მულტიდისციპლინური მიდგომის მაქსიმალურ პროდუქტიულობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მაგისტრი სიღრმისეულად ფლობს სოციალური სუბიექტების ადაპტაციური აქტივობის სპეციფიკის შესწავლის ხერხებს ფორმალური და არაფორმალური ნორმატიული სისტემებით რეგულირებულ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში; მაგისტრანტს შეუძლია მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის სინთეზი და კონკრეტულ თემატიკასთან მისადაგება; შეუძლია მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური გამოცდილების გამოყენება მეცნიერების პრაქტიკულ-გამოყენებითი მიმართულებების (მაგ. სამართლის ფსიქოლოგია, კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, პენიტენციარული და კორექციული ფსიქოლოგია, სასამართლო ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა, განათლების ფსიქოლოგია) პრობლემატიკის ანალიზისათვის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის. შეუძლია მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გამოყენება ნაკლებად დამუშავებულ ან ახალ სფეროში (დევიაციისა და დანაშაულობის პრევენციისა და კორექციის, დევიანტთა რესოციალიზაციის, სამართლის ქმედითობის, კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის სფერო) უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მოქმედებს/ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიურ–სამართლებრივი მეცნიერებების მიღწევებით სამართლით რეგულირებული სოციალური ურთიერთქმედების კვლევის სფეროში. აქვს მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი ერთობების ფორმირებისა და ფუნქციონირების, სოციალური სუბიექტების ქცევის მოტივაციური საფუძვლების, სოციალური ინტეგრაციისა და კონტროლის, სოციალიზაციის პროცესის, პროსოციალური და დევიაციური ქცევის ფორმირების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობისა და პროგრესის ხელშეწყობის სფეროში; შეუძლია აქტუალური პრობლემატიკის სფეროში ახალი ცოდნის და მეთოდიკების შემუშავება, რომელიც ასახავს სხვადასხვა დარგის ინტეგრირებულ პოტენციალს; უნარი აქვს გამოიყენოს მიღბული ცოდნა და გამოცდილება სასწავლო ან პრაქტიკული საქმიანობის სფეროში, რომელიც მოითხოვს ინოვაციას და მოდიფიკაციას ახლებური სტრატეგიული ხედვისა და ორიგინალური კვლევის საფუძველზე.

დასკვნის უნარი:

შეუძლია თანამედროვე კვლევის მონაცემთა დამუშავების შედეგად ინფორმაციის მოპოვება, სისტემატიზაცია, კრიტიკული ანალიზი და ინოვაციური სინთეზი; სტუდენტს გააჩნია განსხვავებული მეთოდიკითა და მეთოდოლოგიით მიღბული მონაცემების შეჯერებისა და სამეცნიერო კონცეფციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასკვნების ფორმულირების და მათი დასაბუთების უნარი. შეუძლია სამეცნიერო ჰიპოთეზის ფორმირება.

კომუნიკაციის უნარი:

კომუნიკაციის უნარი: სტუდენტს შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგებისა და მოსაზრებების არგუმენტაცია, კვლევის შედეგების საჯარო წარდგენა; ინფორმაციის გაცვლის, ინფორმაციის ასახვის და გადამუშავების, შეკითხვის ფორმულირების, აზრის გამოთქმის გზით საკუთარი მოსაზრებისა თუ პოზიციის დაფიქსირება. სტუდენტს აქვს სამეცნიერო დისკუსიის წარმოების კულტურა და შეუძლია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. სტუდენტს აქვს გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის, პასუხისმგებლობის განაწილებისა და კოლეგიალური კეთილსინდისიერების კომუნიკაციის პროცესში გამოყენების პრაქტიკა.

სწავლის უნარი:

სტუდენტს აქვს საკვანძო საკითხებზე კონცენტრირების, ინფორმაციის მოპოვებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარი; აქვს ინტერდისციპლინური ინფორმაციის შეჯერებისა და სისტემატიზაციის გამოცდილება; შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და მასზე მუშაობა, ანალიტიკური აზროვნება და შეფასებების ფორმულირება. შეუძლია სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დაგეგმვა, დამოუკიდებელი მუშაობა და დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება; აქვს დროის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი; შეუძლია დამოუკიდებლად მასალის ორგანიზება და სტრუქტურირება; სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება და ინტეგრირება.

ღირებულებები:

პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე: კოლექტიური სამეცნიერო საქმიანობის, კვლევის წარმოებისა და შედეგების მიმართ პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების აუცილებლობის გათვითცნობიერება და შესაბამისი ნორმების დაცვის ჩვევების განმტკიცება. ადეკვატური და მიუკერძოებელი შეფასებისა და თვითშეფასების ფასეულობის გაცნობიერება საკუთარ და სხვათა ღირებულებების ანალიზის და ახალ ღირებულებათა მიმღებლობის საფუძველზე. სტუდენტს ათვისებული აქვს პროფესიული ეთიკის ელემენტები – შეხედულებების სისტემა საავტორო უფლებების, კოლეგიალობის, სამეცნიერო საქმიანობაში კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

სწავლის მეთოდები

- ლექცია და სემინარი;
- პრეზენტაცია;
- ინდივიდუალური კონსულტაციები;
- დისკუსია/ დებატები
- ჯგუფური მუშაობა - ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. *ამგვარი* პრაქტიკა უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- გონებრივი იერიში - კონკრეტული თემის ფარგლებში პრობლემის შესახებ აზრის, იდეის, მიდგომის ჩამოყალიბების და შეუზღუდავად გამოთქმის ხელშეწყობა.
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – პროფესორისა და სტუდენტის აქტიური ჩართულობა სწავლების პროცესში თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციის მეშვეობით;
- წერითი მუშაობის მეთოდი – მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს მომზადება და სხვა მეთოდები, რომლებიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სილაბუსებში.

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის / ნაშრომი შემოქმედებითი / საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის / ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფეროები

კურდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს:

- შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის, პოლიციის, სასამართლო სისტემის შესაბამის დეპარტამენტებსა და ცენტრებში;
- კერძო იურიდიული კომპანიები
- უფლებადაცვითი, სარეაბილიტაციო, ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების თემატიკაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები;
- აკადემიური და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამის სახელწოდება	მასწავლებელთა განათლება Taecher Education
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ შესაბამისიდარგისბაკალავრი; ➢ საერთოსამაგისტროგამოცდა - A ტიპის ტესტი; ➢ წერითიგამოცდაშესაბამის საგანში; ➢ ინგლისური და გერმანული ენის სპეციალობაზე შესაბამისი ენის B2 დონეზე ცოდნა; ქართული ენის და მათემატიკის სპეციალობაზე ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B1 დონეზე ცოდნა; სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე სტუდენტმა ენის ცოდნა უნდა გააუმჯობესოს B 2 დონემდე.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	მასწავლებლის განათლების მაგისტრი Master of Education in Teacher Education
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: იზაბელა პეტრიაშვილი - ასოცირებული რპოფესორი, ზაქარია ქიტიაშვილი-ასოცირებული პროფესორი ელ-ფოსტა: 599 072116, izabela.petriashvili@tsu.ge 593 91 51 73, zakaria.kitiashvili@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა

სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	120
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი კონცეპტუალურადეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას. სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საგნის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი, რომელიც ფლობს სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე ინო¬¬ვაციურ ფორმებსა და ხერხებს, პედაგოგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სადღეისო მიღწევებს, პედაგოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს. კურსდამთავრებულს ექნება საგნის სწავლების მიზნისა და ამოცანების, შინაარსის და განხორციელების გზების საფუძვლიანი ცოდნა, ისეთი პროფესიული უნარები, როგორიცაა: ინიციატიურობა, შემოქმედებითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება, საგნის სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება, სასწავლო პროცესის შეფასება და სხვა.
პროგრამის მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიისადმი, შესაბამისობაშიასაერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში გაწერილ მოთხოვნებთან.

პროგრამის კურსდამთავრებულსაქვს:

- ზოგადპედაგოგიკური და სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა;
- მასწავლებელთა განათლების დარგისათვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- პედაგოგიურ/ფსიქოლოგიურ დისციპლინების სიღმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- განათლებაში კვლევის მეთოდების სისტემური ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- შესაბამისი დარგის სწავლების მეთოდების სიღრმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

სწავლების მეთოდები

ზეპირსიტყვიერი მეთოდები - მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია; წიგნზე მუშაობის მეთოდები - დამოუკიდებელი და ახსნითი კითხვა;პრაქტიკული მუშაობა - სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა; ანალიზის და სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; გონებრივი იერიში;

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს

აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგსაკითხებზე:

- პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები;
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა;
- საქართველოს ზოგადიგანათლებისსაკანონმდებლობაზა;
- კვლევის მეთოდები განათლებაში;

უნარები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმაიცის შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება, კერძოდ:

- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა;
- სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზაციის ფორმების, პრინციპებისა დ მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებებისგათვალისწინებით;

- სწავლება/სწავლისპროცესისმრავალფეროვანიმეთოდებისადასტრატეგიებისგამოყენება;
- სასწავლოპროცესისმიზანმიმართულიდაგეგმვადამართვა;
- განათლების სფეროში მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;
- სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- პროფესიულ საქმიანობის პროცესში რეფლექსიის უნარი;

დასაქმების სფეროები

- საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი;
- გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული მიმართულებით
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) **Psychological Anthropology (interdisciplinary)**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი; პროფესიის გამოცვლის მსურველ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო, ზუსტი (ბიოლოგია,მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა), ტექნიკური მეცნიერებებისა და მენეჯმენტის სფეროებში; პროგრამა ღიაა ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებისთვის, ვინც დაინტერესებულია რომელიმე კონკრეტული სფეროს (მასმედია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალი და ა.შ.) ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტებით; პროგრამა ასევე ღიაა 2010/11 წლის (პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი) ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე ხუთწლიანი სწავლების დიპლომის მქონე პირებისთვის. სურველთა ასაკი შემოისაზღვრება საერთო-საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება. ჩარიცხვა იწარმოებს სპეციალობაში დაწერილი ესესა და გასაუბრების საფუძველზე.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი MSc in Psychological Anthropology
სწავლების ხანგრძლივობა	4სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
	-

საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი: ლალი სურმანიძე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი ელ-ფოსტა: lali.surmanidze@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	60
არჩევითი დარგობრივი	60
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური თემატიკა, ინტეგრალური ცოდნა და კვლევის პრობლემები იმ სტრატეგიათა შესახებ, რომლებითაც პიროვნება, ემოციები და სუბიექტურობა ყალიბდება კულტურული პრაქტიკების მეშვეობით. პროგრამის უმთავრესი ორიენტირია ადამიანური გამოცდილების კულტურულ ასპექტებზე დაყრდნობით ანთროპოლოგიური თვალთახედვის ჩამოყალიბება.

პროგრამის მეორე პრიორიტეტია მეთოდოლოგიის სფერო. კერძოდ, ანთროპოლოგიური კვლევის ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გააზრება პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლესი ემპირიულ/კვლევითი სტრატეგიების კრიტიკული სწავლება, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლება; კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, ტექსტური და სტატისტიკური ანალიზის/ინტერპრეტაციის სწავლება, აგრეთვე, ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია მაგისტრ-სტუდენტებში ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარება მომიჯნავე დარგებთან - ფილოსოფიურ და სხვა ანთროპოლოგიებთან, ლინგვისტიკასთან, ისტორიასთან, ეთნოლოგიასთან, სოციოლოგიასთან კავშირის სიღრმისეული გააზრების ბაზაზე. პროგრამა ორიენტირებულია წაახალისოს სტუდენტები საზოგადოდ ანთროპოლოგიური პრობლემების, მათ შორის, არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი მიდგომებისადმი შემოქმედებით ხედვაში. პროგრამა სპეციალურ ყურადღებას დაუთმობს ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა კონტექსტში საქმიანობას განწყობის თეორიის შემდგომი დამუშავების მიზნით.

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია მაგისტრ-სტუდენტებში შემეცნებითი და გამოყენებითი პლანის ინტერესების, განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტაციის აქტუალიზებაზე, მათ დაინტერესებაზე რეალური კვლევებით საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონში.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- ახსნა–განმარტებითი
- დისკუსია/დებატები
- წიგნზე მუშაობა
- წერითი მუშაობა
- სტატიებზე მუშაობა
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (case study)

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი / საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის / ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები
პროგრამული სწავლება მოიაზრებს პირველ საფეხურზე მიღებული განათლების გაღრმავებასა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო იდეების რეალიზაციის შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ: **ცოდნა და გაცნობიერება:** ტრადიციული და თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, თეორიულ მოდელებს, აგრეთვე, სემიოტიკის თეორიულ და მეთოდოლოგიურ თავისებურებებს; კურსდამთავრებულებს ექნებათ უახლესი ინფორმაცია მნიშვნელოვან სამეცნიერო თემებზე, როგორიცაა: კულტურული მოდელები, როგორც მენტალური კომპლექსები, მათი დადგინება და ამ პროცესში ფსიქიკური პროცესების (შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციების) კულტურული გაგების როლი; სოციალიზაციის კულტურულ-სპეციფიკური მოდელები და მათი ეფექტები; განვითარებისა და ინკულტურაციის გზები, ადამიანური შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფორმირების პროცესები, კულტურული მსგავსება/განსხვავებების მრავალფეროვანი (მენტალური, სემიოტიკური, ლინგვისტური და ა.შ.) მახასიათებლების აღმწერი შესაძლებლობები, საზოგადოდ, ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტების ფორმირების პროცესები თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში; ექნებათ ცოდნა ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების, კვლევის მეთოდებსა და ანალიზთან დაკავშირებული სპეციალური საკითხების შესახებ. ეს ცოდნა კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერების საშუალებას; სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპების რეფლექსირება; აკადემიური სამეცნიერო ჟურნალისთვის სტატიის დაწერა და პროექტის მომზადება სამეცნიერო პრობლემებისა და პერსპექტივების კონტექსტში. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კონსულტირება და დაგეგმვა: წვლილის შეტანა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზსა და სტრატეგიული პროექტების დაგეგმვაში, დამსაქმებელთა კონსულტირება. კვლევითი უნარები: ფსიქოანთროპოლოგიურ მახასიათებელთა ადეკვატურად გამოყენება კვლევის მონაცემთა ანალიზისას. ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა საკვლევად ადეკვატური პრინციპების საფუძველზე მეთოდების შერჩევა/გამოყენება, კვლევის დაგეგმვა; კვლევით მოპოვებული მასალის ტექსტური და მათემატიკური ანალიზი. კვლევის წარმართვა. კვლევითი პროდუქციის (პროექტების) წარმოება და სრულყოფილი სახით წარდგენა. შეუძლია აკადემიური სამეცნიერო ჟურნალისთვის სტატიის დაწერა და პროექტის მომზადება. **დასკვნის უნარი:** რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; **კომუნიკაციის უნარი:** დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების, არგუმენტაციის, დასკვნებისა და კვლევის შედეგების საჯარო წარდგენის; აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე კორექტული კომუნიკაციის აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და მიღწევათა გათვალისწინებით; არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირებისა წერილობითი და ვერბალური ფორმით; გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის, პასუხისმგებლობის განაწილების. **სწავლის უნარი:** რთული და არასრული ინფორმაციის, აგრეთვე, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის. **ღირებულებები:** პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე: • პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების მზაობა, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;

- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გათვალისწინება;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა;
- აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დასაქმების სფეროები

- შედარებითი ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ცენტრები (როგორც სამეცნიერო, ისე გამოყენებითი).
- როგორც სოციოჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ადამიანის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
- კულტურისა და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო ორგანიზაციები ან მათი განყოფილებები;
- სასწავლებლები, სადაც არსებობს ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალობები, ან არსებობს მათზე მოთხოვნილება;
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას;
- სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები/ცენტრები (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები), რომელთა ინტერესი მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ანალიზს ფსიქოანთროპოლოგიური კვლევითი მონაცემების გამოყენებით (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.);
- სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მოთხოვნილება ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევით მონაცემებზე;
- ეთნიკური კონფლიქტების რეგულირებასთან დაკავშირებული სამთავრობო და არასამთავრობო, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მასობრივი მედიის საშუალებები;
- ტურისტული სააგენტოები.

პროგრამის სახელწოდება	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია Work and Organizational Psychology
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც ავტორიზებულ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ასევე სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესსა და საჯარო ადმინისტრირებაში, ფილოლოგიაში ან/და აქვს მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება ადამიანური რესურსის მართვის სფეროში, ამასთან, წარმატებით გადალახა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის საკვალიფიკაციო მინიმუმი. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აპლიკანტი აბარებს შემდეგ გამოცდებს: – ერთიანი სამაგისტრო გამოცდა – გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) – გამოცდა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგსიტრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	შრომისა და ორგანიზციის ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of Arts in Work and Organizational Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11 ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.
საკონტაქტო პირი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი. ი. კუტალაძე

ელფოსტა: iamze.kutaladze@tsu.ge 599-56-21-96

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	120
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი და კონცეფცია ეფუძნება, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას და, მეორე მხრივ, მსოფლიოში უდიდესი პროფესიული ორგანიზაციის - *შრომის/სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა საზოგადოების (The Society for Industrial and Organizational Psychology- SIOP)* - მიერ შემუშავებულ დარგობრივი მახასიათებლებსა და სტანდარტებს, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა მოსამზადებელი სამაგისტრო პროგრამებისთვის განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, SIOP-ის ფილოსოფიასა და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა მომზადების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად *(Guidelines for Education and Training in Industrial-Organizational Psychology; by Society for Industrial and Organizational Psychology (SIOP), Inc. 2016),* ამზადებს *მეცნიერ-პრაქტიკოსებს.* როგორც მომავალი მეცნიერები, ისინი კვლევისა და პრაქტიკის საფუძველზე ავითარებენ და აფასებენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიურ თეორიებს; როგორც პრაქტიკოსები, აფასებენ თეორიასა და კვლევით მონაცემებს და იყენებენ მათ პრაქტიკაში ორგანიზაციული კონტექსტის გათვალიწინებით. ამასთან, გაცნობიერებული აქვთ სამეცნიერო ცოდნის მნიშვნელობა და აქტუალობა წარმატებული პრაქტიკისთვის.

პროგრამის მიზანი

SIOP-ის დუალური ფილოსოფიის შესაბამისად, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში მეცნიერ-პრაქტიკოსების მოსამზადებლად სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, მაგისტრებს:

1. მისცეს სისტემური ცოდნა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში, განუვითაროს სამეცნიერო წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, სამეცნიერო სიახლეების მოძიებისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
2. გამოუმუშავოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ორგანიზაციის ეფექტიანობის, სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპებისა და კორპორატიული მოქალაქეობის დამკვიდრების ხელშესაწყობად;
3. განუვითაროს შეფასების, ინტერვენციების, მონიტორინგისა და კონსულტაციის უნარები, რათა დაეხმარონ ორგანიზაციებსა და დასაქმებულ პირებს პრობლემების გადაჭრაში, სამუშაო შედეგების გაუმჯობესებასა და ორგანიზაციულ ცხოვრებასთან ასოცირებული რთული პროცესების მართვაში;
4. განუვითაროს კვლევის ვალიდური დიზაინის შემუშავების, კვლევის შედეგთა ანალიზის, ინტერპრეტაციის, კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავების უნარები;

5. განუვითარის ეფექტური პროფესიული ურთიერთობების, მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურობის პროექტირებისათვის აუცილებელი უნარები.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრს ექნება საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ პროგრამის დასრულებისთანავე სრულფასოვნად ჩაერთოს პრაქტიკულ საქმიანობაში და, ამასთან, გააგრძელოს კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობა.

სწავლის მეთოდები

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სწავლებისა და სწავლის მეთოდები სრულად ორიენტირებულია თეორიის, კვლევის და პრაქტიკის ინტეგრაციაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოყენებითი ფსიქოლოგიის, კერძოდ, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში წარმატებისთვის და ეყრდნობა Society for Industrial and Organizational Psychology (SIOP), შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლებს/სტანდარტებს[1] :

ფორმალური საკურსო მუშაობა (Formal Course Work): ტრადიციული სააუდიტორიო მუშობა, რომელსაც უძღვება პროფესორი. ეს მეთოდი თავისთავად შეიძლება მოიცავდეს ლექციებს, დისკუსიას, პრეზენტაციებს და ა.შ. ტრადიციულად მას სალექციო, ახსნა–განმარტებით მეთოდს უწოდებენ. სწავლების ეს მეთოდი სტუდენტებს, ასევე, აძლევს შესაძლებლობას, იმუშაონ თანატოლებთან ერთად და ისარგებლონ თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობებით.

დამოუკიდებლად კითხვა/კვლევა: სტუდენტი, პროფესორის კონსულტაციის შემდეგ, იღებს პასუხისმგებლობას და ვალდებულებას სასწავლო დისციპლინის ძირითადი მიზნების შესრულებაზე. ეს არის წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც ინტეგრირებულია წერითი მუშაობის მეთოდთან; მოიცავს არასაკლასო ინსტრუქციის ყველა ფორმას, რომლისთვისაც მთავარია თვითინიცირებული ინდივიდუალური ძალისხმევა მიზნების მისაღწევად. მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას/გააზრებას, შესაბამისი რეფერატების, თეზისების, ესეს, მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადებას; ასევე, კვლევის დიზაინის შექმნასა და ჩატარებას, ინტერაქტიული კომპიუტერული უნარების შემენას. ეს მეთოდი, ასევე, გულისხმობს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და მიღწევების გაცნობას პროფესიული ლიტერატურის, პერიოდიკის, პირველ რიგში, SIOP– ის პუბლიკაციების დამოუკიდებლად კითხვის გზით.

სუპერვიზიით შემენილი გამოცდილება და საველე კვლევა (Supervised Experience and Field Research): ეს არის არასააუდიტორიო სწავლება, სტუდენტი აქტიურად მონაწილეობს პროექტებში კვალიფიციური პერსონალის (მაგალითად, პროფესორი, პროფესორის ასისტენტი, სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, პრაქტიკოსები) უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. ასეთი პროექტები მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მეთოდი გამოირჩევა in vivo სწავლის შესაძლებლობებით, ცოდნის ტრანსფერის მაღალი დონით; მეთოდი ხელს უწყობს შემენილი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ეფექტურად გამოყენებას რეალურ სამუშაო სიტუაციაში.
ის მოიცავს პრაქტიკულ და სტაჟირების გამოცდილებას, საველე სამუშაოებს / ტრენინგებს, სადისერტაციო კვლევებში მონაწილეობას და სხვა. სწავლების ეს მეთოდი მკაცრად რეკომენდებულია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში, როგორც მაგისტრების მომზადების აუცილებელი კომპონენტი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც აპირებს გახდეს პრაქტიკოსი.

[1] *Guidelines for Education and Training in Industrial-Organizational Psychology; by Society for Industrial and Organizational Psychology (SIOP), Inc. (2016). Bowling Green, OH: Author. Prepared by the Education and Training Committee*

ტრენინგი სამუშაო ადგილზე (On-the-Job-Training): ეს არის ექსპერტის მკაფიო მითითების პირობებში სტუდენტის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება პრაქტიკით, პროფესიული ამოცანების გადაწყვეტით. არასააუდიტორიო სწავლების ეს მეთოდი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას იმ ორგანიზაციულ გარემოში, სადაც სტუდენტს უწევს მუშაობა და/ან სტაჟირება. ეს არის *გამოცდილებით (experiential) სწავლება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, გონებრივ იერიშსა და სხვა მეთოდებს.* ვინაიდან პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირების შესაძლებლობას, ამასთან, მაგისტრანტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია, ეს მეთოდი ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული სტუდენტთა მხარდაჭერისათვის პროფესიული ამოცანების გადაწყვეტისა და პრაქტიკული უნარების განვითარების პროცესში.

მოდელირება / დაკვირვება: არასააუდიტორიო სწავლების ეს მეთოდი მოიცავს იმპლიციტურ, არამკაფიო ინსტრუქციებს, რომლებიც მიიღება მაღალი კვალიფიკაციის მქოდე პროფესიონალისაგან, ე.წ. მოდელის მუშაობაზე დაკვირვებით. მოდელირება / დაკვირვება, მისი ზოგადი ხასიათის გამო, კვეთს ტრენინგის რამდენიმე მეთოდს, მათ შორის, *თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, დისკუსიას, შემთხვევის ანალიზს* და სხვა. მოდელირება კეთდება მიზანმიმრთულადაც.

დაფინანსებულ კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა (Involvement in Funded Research): სააუდიტორიო ინსტრუქციები დონორების, ფონდების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში კვლევებს. სტუდენტები სწავლობენ, როგორ უნდა მოამზადონ საპროექტო წინადადებები, კონკურენტული კვლევითი წინადადებები, როგორ უნდა მართონ კვლევითი პროექტი, როგორ უნდა შეფასდეს პროგრესი და შედეგები. მიზნის მისაღწევად შეიძლება გამოყენებული იყოს *დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.*

თანამშრომლობითი კვლევა (Collaborative Research): არასააუდიტორიო სწავლება, პროფესორ მასწავლებელთა მხარდაჭერით უნიკალური კვლევის დიზაინის შემუშავება: კვლევითი კითხვა, კვლევის დაგეგმვა, განხილვა და უკუკავშირის მიღება, კვლევის ჩატარება, შედეგების ანალიზი და შეჯამება (უმეტესად სხვებთან თანამშრომლობით).

SIOP-ის მიერ რეკომენდებული სწავლა-სწავლების მეთოდები შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მომზადებულ სილაბუსებში წარმოდგენილია უფრო კონკრეტული მეთოდების სახით, რომლებიც ერთიანდება ზემოთ აღწერილ სწავლა-სწვალების მეთოდებში.

- სალექციო, ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- გამოცდილებით სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- შემთხვევის ანალიზი
- როლური და სიტუაციური თამაშები
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები

- პრაქტიკული სამუშაო
- ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა

შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება ხდება სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება მოიცავს:
ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ვიყენებთ ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას:
დადებითი შეფასება
ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასება
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.
ზ) (F) ჩაიჭრა[2] – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი:
1. კრიტიკულად აანალიზებს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას;

[2]

2. კრიტიკულად მსჯელობს ინდივიდუალური, ჯგუფური და ორგანიზაციული ქცევის პრინციპების შესახებ, აანალიზებს ფსიქოლოგიური ცოდნის კრიტიკულ მნიშვნელობას ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვაში;
3. კრიტიკულად მსჯელობს კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, მონაცემთა მართვისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების, ტესტის შექმნის მეთოდოლოგიის, პიროვნებისა და ორგანიზაციის შეფასების მეთოდების შესახებ;
4. აცნობიერებს სამუშაო ძალის კულტურული მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობას, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგისთვის აუცილებელი ეთიკური პრინციპების, პროფესიული ნორმების, სტანდარტების და პროფესიის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების გათვალიწინების აუცილებლობას პროფესიულ პრაქტიკაში

უნარები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია:

1. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში შეძენილი სისტემური ცოდნის გამოყენება ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზაციის ეფექტიანობას, სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპების და კორპორატიული მოქალაქეობის დამკვიდრებას;
2. ორგანიზაციაში შეფასების, ინტერვენციებისა და მონიტორინგის (ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასების) სტრატეგიების შემუშავება და აუდიტორიისთვის შესაფერის, გასაგებ ენაზე გადმოცემა;
3. კვლევითი საქმიანობის, მათ შორის, ორგანიზაციული კვლევის, დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევის დიზაინის შემუშავება, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და შედეგების კომპლექსური ანალიზი და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება ორგანიზაციის წარმატების ოპტიმიზაციისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად;
4. სხვების მიერ გაწეული სამუშაოს კრიტიკული მიმოხილვა, მათ შორის, დამატებითი ინფორმაციის მოძიება და გამოკვლევა, ლოგიკური ხარვეზების ძიება და პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტის გზების შეთავაზება. კვლევით სტატიებში წარმოდგენილი მონაცემებისა და ინფორმაციის გააზრება და ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტაში მათი გამოყენება;

5. ლოგიკური, ლაკონური, მომხმარებელზე ორიენტირებული და პროფესიონალური ზეპირი და წერილობითი საკომუნიკაციო უნარების დემონსტრირება. კონსტრუქციულ უკუკავშირზე არა თავდაცვითი, არამედ განვითარებასა და სწავლაზე ორიენტირებული რეაგირება.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

პროგრამა ორიენტირებულია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ღირებულებათა დამკვიდრებაზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია:

1. საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება ორგანიზაციაში თანამშრომელთა კეთილდღეობისა და ეფექტიანობის, ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად. ეფექტური პროფესიული ურთიერთობების დემონსტრირება, პატივისცემა, ნდობა, ღია დიალოგი და თანამშრომლობა ყველასთან, განურჩევლად სტატუსის, განათლების, თვალსაზრისისა და პოზიციისა;

2. დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის დემონსტრირება - მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეთიკური გადაწყვეტილების მიღება; პასუხიმგებლობის აღება პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვაზე,

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლასა და პროფესიული განვითარებაზე პასუხისმგებლობა.

დასაქმების სფეროები
კარიერული გზის მიუხედავად (პრაქტიკით არის დაინტერესებული, თუ სამეცნიერო/აკადემიური კარიერით), შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ამაზადებს მეცნიერ/პრაქტიკოსებს; მათი დასაქმების სფეროებია: **აკადემიური კარიერა:** მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური კარიერით დაინტერესებულ მაგისტრებს ჰქონდეთ როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკის საფუძვლიანი ცოდნა იმისათვის, რომ დაგეგმოს მნიშვნელოვანი გამოყენებითი ღირებულების მქონე სამეცნიერო კვლევა. პროგრამა უზრუნველყოფს მათ ამ შესაძლებლობით. აკადემიური კარიერით დაინტერესებულ მაგისტრებს აქვთ შესაძლებლობა, გააგრძელონ სწავლა შრომისა და ორგანიზაციის სადოქტორო პროგრამაზე, გახდნენ პედაგოგები და ჩაერთონ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ახალი თაობების სწავლების პროცესში თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტებში, როგორც მკვლევრებმა, იმუშაონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. **პრაქტიკული კარიერა:** შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრს, რომლის კარიერაც პრაქტიკას უკავშირდება, აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში: კერძო სტრუქტურა, სახელმწიფო უწყება, საკონსულტაციო ორგანიზაციები, სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები, მათ შორის, გამოყენებითი ხასიათის კვლევაზე ორიენტირებული საკონსულტაციო ორგანიზაციები, ტრენინგ ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. ყველა ტიპის ორგანიზაციას სჭირდება: • საკომუნიკაციო პროცესების აწყობა, სამოტივაციო პოლიტიკა, ჯგუფების ეფექტურობის პროექტირება, ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება, ორგანიზაციული კვლევები და კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება • ადამიანური რესურსის მართვის ეფექტიანი პოლიტიკა და პრაქტიკა, პერსონალის შეფასება და შერჩევა, შერჩეული თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა, ტრენინგისა და განვითარების აქტივობები, კარიერის მენეჯმენტი, საკომპენსაციო სისტემები, დამსაქმებლის ბრენდის მართვა და ა.შ. ყველა ეს პროცესი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგის კომპეტენციის მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგები ადამიანური რესურსების მართვის სფეროს გამორჩეული სპეციალისტები არიან, რადგან მათ მიერ შეძენილი ადამიანური რესურსის მართვის პროცესების ცოდნა ეფუძნება შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის თეორიებს, სამეცნიერო კვლევებს; მათ აქვთ HRM პროცესებში კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულმა შეიძლება იმუშაოს შემდეგ პოზიციებზე: ორგანიზაციის ფსიქოლოგი, ადამიანური რესურსის მენეჯერი, პერსონალის შერჩევის მენეჯერი, პერსონალის შეფასების მენეჯერი, ტრენინგისა და განვითარების მენეჯერი, დამსაქმებლის ბრენდინგის სპეციალისტი, ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტი და სხვა. *ძალიან მაღალია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი. პროგრამის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი წარმატებით მუშაობს საჯარო ორგანიზაციებსა და კერძო სტრუქტურებში; ასევე, საკონსულტაციო ორგანიზაციებში.*

პროგრამის სახელწოდება	**პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება** **Vocational Education and Human Resources Development**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა ➢ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ➢ მოტივაცია, ლიდერული და ინტერპერსონალური უნარები (შემოწმდება გასაუბრებით და სამოტივაციო წერილით) ➢ უპირატესობა მიენიჭებათ ამ მიმართულებით გამოცდილების მქონე და გერმანული ენის მცოდნე აპლიკანტებს
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების მაგისტრი / Master of Education Sciences
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: **რუსუდან სანაძე** - ასოცირებული პროფესორი ელ-ფოსტა: rusudan.sanadze@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	110
არჩევითი დარგობრივი	10

დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

პროფესიული განათლების მკვლევარების, ლიდერებისა და პრაქტიკოსების განათლება, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ პროფესიული განათლების, ადამიანური განვითარებისა და განათლების სისტემების განვითარებასა და რეფორმაში ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე;

წვლილი შეიტანოს ცოდნის ბაზის, პოლიტიკისა და ინსტიტუტის განვითარებაში პროფესიული განათლების სფეროში, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას ეროვნულ დონეზე. პროგრამა ხელს შეუწყობს პროგრამის დაინტერესებულ მხარეებსა და სექტორში ადამიანური კაპიტალის შემდგომი გაცვლის პლატფორმის შექმნას.

სწავლების მეთოდები

სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების კომბინირებით, კერძოდ:

- ზეპირსიტყვერი მეთოდები – დიალოგი, მონოლოგი,
- წიგნზე მუშაობის მეთოდები,
- ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვა,
- პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეთოდები,
- წერითი მეთოდები – რეფერატი, პროექტი;
- დისკუსია/დებატები,
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა,
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება,
- ევრისტიკული მეთოდი,
- შემთხვევის ანალიზი (Case study),
- როლური და სიტუაციური თამაშები,
- ინდუქცია, დედუქცია,
- ანალიზი და სინთეზი,
- ახსნა– განმარტებითი მეთოდი,
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,
- ელექტრონული სწავლება (E-learning).

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა პროფესიული განათლებისა და ადამიანური რესურსების განვითარების სფეროებში ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტების გათვალისწინებით;
- პროფესიული განათლებისა და ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის შექმნა, შეფასება და დაგეგმვა ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით;
- დაგეგმოს და კოორდინაცია გაუწიოს პოლიტიკის განხორციელებას მმართველობისა და მართვის დონეზე
- მართოს ერთეული პროფესიული განათლების პოლიტიკისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების როგორც სტანდარტულ, ისე ცვალებად გარემოში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ მენეჯერულ და პედაგოგიურ პოზიციებზე პროფესიული განათლების დაწესებულებებში, პროფესიული განათლების მხარდაჭერის ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში ან პროფესიული განათლების დამზადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებში.